

რაგვიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის
03/01/2002წ N 1321 დადგენილებით

ევროპული კონვენცია ქორწინების გარეშე დაბადებულ
ბავშვთა სამართლებრივი სტატუსის შესახებ

ქვემოთ ხელისმომწერნი, ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოები ითვალისწინებენ, რომ ევროპის საბჭოს მიზანია მის წევრთა შორის უფრო დიდი ერთიანობის მიღწევა. განსაკუთრებით კანონმდებლობის სფეროში საერთო წესების მიღებით;

აღნიშნავენ, რომ მრავალ წევრ სახელმწიფოში გადადგმულია ან იდგმება ნაბიჯები ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა სამართლებრივი სტატუსის გაუმჯობესებისათვის. მათსა და ქორწინების შედეგად დაბადებულ ბავშვთა სამართლებრივ სტატუსებს შორის იმ განსახვავებთა შემცირებით, რომლებიც იწვევენ პირველთა სამართლებრივ თუ სოციალურ ნაკლოვანებებს.

აღიარებენ, რომ ჯერ კიდევ არსებობს წევრ სახელმწიფოთა ამ სფეროსთან დაკავშირებული კანონმდებლობებს შორის დიდი განსხვავებები.

სწამთ, რომ ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა მდგომარეობა უნდა გამოსწორდეს და მათ სამართლებრივ სტატუსთან დაკავშირებულ საერთო წესების ფორმულირება ხელს შეუწყობს ამ მიზნის მიღწევას და იმავდროულად წვლილს შეიტანს ამ სფეროში წევრ სახელმწიფოთა კანონმდებლობების ჰარმონიზაციაში.

ამასთან, ითვალისწინებენ, რომ იმ სახელმწიფოებისათვის, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ ვერ შეძლებენ წინამდებარე კონვენციის გარკვეული წესების ერთბაშად მიღებას, აუცილებელია დაშვებულ იქნას წინასწარი ეტაპები.

შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი I

თითოეული ხელშემკვრელი მხარე იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს თავისი კანონმდებლობის შესაბამისობა წინამდებარე კონვენციის დებულებებთან და შეატყობინოს ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს ამ მიზნით მიღებული ზომების თაობაზე.

მუხლი II

ქორწინების გარეშე დაბადებული თითოეული ბავშვის დედობის დადგენა დაფუძნებული იქნება მხოლოდ ბავშვის დაბადების ფაქტზე.

მუხლი III

ქორწინების გარეშე დაბადებული თითოეული ბავშვის მამობის დადგენა შეიძლება დამყარდეს ან დადგინდეს ნებაყოფლობითი აღიარებით ან სასამართლო გადაწყვეტილებით.

მუხლი IV

მამობის ნებაყოფლობითი აღიარება არ შეიძლება იყოს გასაჩივრებული ან ეჭვქვეშ დაყენებული თუ შიდა კანონმდებლობა ითვალისწინებს აღნიშნულ პროცედურებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც პიროვნება, რომელსაც სურს აღიაროს ან უკვე აღიარა ბავშვი არ არის ბავშვის ბიოლოგიური მამა.

მუხლი V

მამობის დადგენასთან დაკავშირებულ მოქმედებაში მცნირული მგკიცებულებანი, რომლებსაც ძალუძთ ხელი შეუწყონ მამობის დადგენას ან უარყოფას იქნება დაშვებული.

მუხლი VI

1. ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვის მამასა და დედას ეკისრებათ იგივე ვალდებულებები ბავშვთა ზრუნვაზე, როგორც მათ ექნებოდათ ქორწინების შემთხვევაში.

2. როდესაც კანონიერად დაბადებული ბავშვის ზრუნვაზე იურიდიული პასუხისმგებლობა ეკისრებათ მამისა და დედის ოჯახის გარკვეულ წევრებს, ასეთი პასუხისმგებლობა ასევე გამოიყენება ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვის სასარგებლოდაც.

მუხლი VII

1. როდესაც ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვის მიკუთვნება დადგენილია ორივე მშობელთან მიმართებაში, მშობლის უფლებები არ შეიძლება ავტომატურად მიეკუთვნოს მხოლოდ მამას.

2. იარსებებს საშუალება მშობლის უფლებების გადაცემისა; გადაცემის საკითხები მოწესრიგდება შიდა კანონმდებლობით.

მუხლი VIII

როდესაც ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვის მამას ან დედას არ გააჩნია ბავშვზე მშობლის ან მეურვეობის ვალდებულება, მშობელს შეუძლია მიიღოს უფლება ბავშვთან ურთიერთობისა შესაბამის შემთხვევაში.

მუხლი IX

ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვს გააჩნია მამისა და დედის ქონებაზე მემკვიდრეობის ისეთივე უფლება, როგორც მას ექნებოდა კანონიერად დაბადების შემთხვევაში.

მუხლი X

ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვის მამისა და დედის ქორწინება მიანიჭებს ბავშვს კანონიერად დაბადებული ბავშვის სამართლებრივ სტატუსს.

მუხლი XI

1. წინამდებარე კონვენცია ღიაა ხელმოსაწერად ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოსათვის. იგი ექვემდებარება რაგიფიკაციას, მიღებას ან დამტკიცებას, რაგიფიცირების, მიღების ან დამტკიცების შესახებ ინსტრუმენტები დეკონირებული იქნება ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანთან.

2. წინამდებარე კონვენცია ძალაში შევა რაგიფიკაციის, მიღების ან დამტკიცების შესახებ მესამე ინსტრუმენტი დეკონირების დღიდან 3 თვის შემდგომ დღეს.

3. იმ ხელმომწერ სახელმწიფოსთან მიმართებაში, რომელიც შემდგომში მოახდენს რაგიფიცირებას, მიღებას ან დამტკიცებას, კონვენცია ძალაში შევა რაგიფიკაციის, მიღების ან დამტკიცების შესახებ ინსტრუმენტის დეკონირების დღიდან 3 თვის შემდეგ.

მუხლი XII

1. წინამდებარე კონვენციის ძალაში შესვლის შემდეგ, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტს წინამდებარე კონვენციასთან მისაერთებლად შეუძლია მოიწვიოს ნებისმიერი ევროპის საბჭოს არაწევრი სახელმწიფო.

2. ასეთი მიერთება განხორციელდება ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანთან მიერთების შესახებ ინსტრუმენტის დეკონირების ვით, რომელიც ძალაში შევა დეკონირების თარიღიდან 3 თვის შემდეგ.

მუხლი XIII

1. ნებისმიერ სახელმწიფოს ხელმოწერის ან რაგიფიკაციის, მიღების, დამტკიცების ან მიერთების შესახებ ინსტრუმენტის დეკონირების დროს შეუძლია დააბუსტოს ტერიტორია ან ტერიტორიები, რომლებზედაც გავრცელდება წინამდებარე კონვენცია.

2. ნებისმიერ სახელმწიფოს რაგიფიკაციის, მიღების, დამტკიცების ან მიერთების შესახებ ინსტრუმენტის დეკონირების დროს ან ნებისმიერ შემდგომ დროს, შეუძლია ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის სახელზე გაკეთებული განცხადებით გაავრცელოს წინამდებარე კონვენცია, განცხადებაში მოყვანილ ნებისმიერ სხვა ტერიტორიაზე ან ტერიტორიებზე და რომელთა საერთაშორისო ურთიერთობებზე იგი პასუხისმგებელია ან ვისი სახელითაც იგი უფლებამოსილია იკისროს ვალდებულებანი.

3. წინა პუნქტის შესაბამისად გაკეთებული ნებისმიერი განცხადება, ასეთ განცხადებაში მითითებული ნებისმიერი ტერიტორიის მიმართ შეიძლება იქნას

გაუქმებული წინამდებარე კონვენციის მე -15 მუხლში დადგენილი პროცედურების შესაბამისად.

მუხლი XIV

1. ნებისმიერ სახელმწიფოს ხელმოწერის ან რაგიფიკაციის, მიღების, დამტკიცების ან მიერთების შესახებ ინსტრუმენტის დეკონირების დროს ან წინამდებარე კონვენციის მე -13 მუხლის მე - 2 პუნქტის შესაბამისად განცხადების გაკეთების დროს, შეუძლია გააკეთოს არაუმეტეს 3 დათქმისა კონვენციის მეორედან მეთავე მუხლის დებულებებთან დაკავშირებით. საერთო ხასიათის დათქმები არ დაიშვება, თითოეული დათქმა არ შეიძლება უკავშირდებოდეს ერთ დებულებამე მეგს.

2. დათქმა ძალაშია შესაბამისი ხელშემკვრელი მხარისათვის წინამდებარე კონვენციის ძალაში შესვლიდან 5 წლის ვადით შესაძლებელია მისი განახლება მომდევნო 5-წლიანი ვადით ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის სახელზე წინა ვადის ამოწურვამდე გაკეთებული განცხადების გზით.

3. ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის სახელზე გაგზავნილი განცხადებით, ნებისმიერ ხელშემკვრელ მხარეს შეუძლია სრულად ან ნაწილობრივ გააუქმოს გემოსხენებული პუნქტების შესაბამისად მის მიერ გაკეთებული დათქმა. ასეთი გაუქმება ძალაში შევა გენერალური მდივნის მიერ განცხადების მიღების დღიდან.

მუხლი XV

1. ნებისმიერ ხელშემკვრელ მხარეს, რამდენადაც ეს მასთან არის დაკავშირებული, შეუძლია ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის სახელზე გაკეთებული შეცვობინებით მოახდინოს წინამდებარე კონვენციის დენონსაცია.

2. ასეთი დენონსაცია ძალაში შევა გენერალური მდივნის მიერ ასეთი შეცვობინების მიღების თარიღიდან 6 თვის შემდეგ.

მუხლი XVI

ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებს და წინამდებარე კონვენციასთან მიერთებულ ნებისმიერ სახელმწიფოს შეაგვობინებს:

- a) ნებისმიერი ხელმოწერის შესახებ;
- b) რაგიფიკაციის, მიღების, დამტკიცების ან მიერთების შესახებ ნებისმიერი ინსტრუმენტის დეკონირების თაობაზე.
- c) მე -11 მუხლის შესაბამისად წინამდებარე კონვენციის ძალაში შესვლის ნებისმიერი თარიღის თაობაზე;
- d) ნებისმიერი შეცვობინების შესახებ, რომელიც მიღებულია პირველი მუხლის დებულებების შესაბამისად;
- e) ნებისმიერი განცხადების შესახებ, რომელიც მიღებულია მე - 13 მუხლის მე -2 და მე -3 პუნქტების დებულებების შესაბამისად;
- f) ნებისმიერი დათქმის შესახებ, რომელიც გაკეთებულია მე -14 მუხლის პირველი პუნქტის დებულებების შესაბამისად;

- g) მე -14 მუხლის მე -3 პუნქტის დებულებების შესაბამისად, ნებისმიერი დათქმის განახლების შესახებ;
- h) მე -14 მუხლის მე -3 პუნქტის დებულებების შესაბამისად, ნებისმიერი დათქმის გაუქმების შესახებ;
- i) ნებისმიერი შეცვობინების შესახებ, რომელიც მიღებულია მე -15 მუხლის დებულებათა შესაბამისად, და დენონსაციის ძალაში შესვლის თარიღის თაობაზე.

რის დასტურადაც, ქვემოთ ხელისმომწერებმა, რომელთაც გააჩნიათ ამისათვის შესაბამისი უფლებამოსილება, ხელი მოაწერეს წინამდებარე კონვენციას. შესრულებულია სგრასბურგში, 1975 წლის 15 ოქტომბერს, ინგლისურ და ფრანგულ ენებზე, ორივე ტექსტს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა, თითოეული მათგანი შესრულებულია ერთ ეგზემპლარად და დეპონირდება ევროპის საბჭოს არქივებში. ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი დადასტურებულ ასლებს გადასცემს ევროპის საბჭოს ყველა წევრ სახელმწიფოს.